

წმინდა მამის მიმართვა

პრეზიდენტის სასახლის ეზო – თბილისი

პარასკევი, 30 სექტემბერი, 2016 წ.

ბატონო პრეზიდენტო,
პატივცემული ხელისუფალი,
დიპლომატიური კორპუსის აღმატებული წევრებო,
ქალბატონებო და ბატონებო,

მადლობას ვუძღვნი ყოვლისმპყრობელ ღმერთს, რომ შესაძლებლობა მომცა ვწვეოდი ამ კურთხეულ მიწას, კულტურათა და ცივილიზაციათა შეხვედრისა და სახიფათო ურთიერთობათა ცვლის ადგილს, რომელმაც, მკითხველ საუკუნეში წმიდა ნინოს ქადაგებიდან მოყოლებული, ქრისტიანობაში აპოკალიფსის თვისი სიღრმისეული შეზობა და საკუთარ ფასეულობათა მყარი საფუძველი. როგორც წმიდა იოანე პაულე მეორემ თქვენს სამშობლოში სტუმრობისას განაცხადა: “ქრისტიანობა იქცა იმ მარცვლად, რომლიდანაც შემდგომში აყვავდა ქართული კულტურა” (დახვედრის ცერემონიის წარმოქმნილი სიტყვა, თბილისი, 1999 წლის 8 ნოემბერი, სწავლებანი XXII, 2 [1999], 84); და ამ მარცვალს კვლავაც მოაქვს თავისი ნაყოფი. მადლიერებით ვიგონებ რა ჩვენს შარშანდელ შეხვედრას ნატიკანში და იმ კეთილ ურთიერთობებს, რომლებსაც საქართველო მუდამ ინარჩუნებდა წმიდა საყდართან, გულისთავად მადლობას მოგახსენებთ, ბატონო პრეზიდენტო, სასურველი მოწვევისათვის, იმ თბილი მისასალმებელი სიტყვისათვის, რომლითაც მომხმარებთ სახელმწიფოს ხელისუფლებისა და მთელი ქართველი ერის სახელით.

თქვენი სამშობლოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია, თქვენივე კულტურით, ენითა და ტრადიციებით გამოხატულ ფასეულობებში ფესვადგმული, სრული უფლებით მიუყვანს თქვენს ქვეყანას ნაყოფიერსა და გამორჩეულ ადგილს ევროპული ცივილიზაციის წიაღში; ამავე დროს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო წარმოგვიდგება ევროპასა და აზიას შორის გადებულ ერთგვარ ბუნებრივ ხიდად, ხალხებს რომ აკავშირებს და ურთიერთობას უადვილებს, ხიდად, რომელმაც საუკუნეების მანძილზე შესაძლებელი გახადა გასხვავებულ სამყაროთა შორის როგორც სავაჭრო ურთიერთობები, ასევე დიალოგი და აზრთა თუ გამოცდილებათა გაცვლა-გამოცვლა. თქვენი ეროვნული პიროვნება ხომ ამაყად გვიცხადებს: “ნემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა, განაიფლები მთა-ბარი წილნაყარია ღმერთთანა”. სამშობლო მართლაც ხატია, მეობას რომ გეყვარებებს, იერსახეს გეჩინებებს და ისტორიას გეცხადებს. თავისუფალი, თუმცა არცთუ გადაულახავ კვლავად ცადაზიფული მთები კი ბრწყინვალეობით ადავსებენ ხეობებსა და მინდორ-ელებს, ერთმანეთთან აკავშირებს მათ და, ამავე დროს, თავისებურად, ერთერთისგან განსხვავებულად წარმოგვინევენ თითოეულ მათგანს. ყველანი ერთად კი ერთ საერთო ცას უწყობენ ხმას, ზემოდან რომ დაეყურებს და იფარავს მათ.

ბატონო პრეზიდენტო, 25 წელი გავიდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან. ამ პერიოდის მანძილზე, კვლავ მოპოვებული სრული თავისუფლების პირობებში, თქვენმა ქვეყანამ აღაშენა და განამტკიცა დემოკრატიული ინსტიტუტები, დასახა საყოველთაო და ჭეშმარიტი განვითარების გზები. ყველაფერმა ამან დიდი მსხვერპლიც მოითხოვა, რომელიც ერმა ვაკეცურად გაიღო, რათა დაეცვა ასე ნანატრი თავისუფლება. გისურვებთ, რომ მშვიდობისა და განვითარების გზაზე ხელიხელნაკიდებულს კვლავ საზოგადოების ყველა წევრს, რაც შექმნიდა სტაბილურ, სამართლიანსა და კანონისადაც პატივისცემით აღსავსე გარემოს, რომელიც უზრუნველყოფდა საზოგადოების ზრდას და ყველასათვის ხელსაყრელი შესაძლებლობების შექმნას.

ამგვარ ჭეშმარიტსა და მდგრად წინსვლას თავისი აუცილებელი წინაწარი პირობაც აქვს. ესაა რეგიონის ერებსა და სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი თანარსებობა. საამისოდ კი აუცილებელია მათ შორის ურთიერთპატივისცემის განმტკიცება, რაც უცვილობად გულისხმობს თითოეული მათგანის სუვერენული უფლებების პატივისცემას და მათთვის ანგარიშის გაკვეთს საერთაშორისო სამართლის ფარგლებში. ხანგრძლივი და ჭეშმარიტი მშვიდობისაკენ მიმავალი გზის გასაკვლად კი იმის შეგნებაა საჭირო, რომ სახელმწიფოთა შორის სამართლიანი და სტაბილური ურთიერთობის დასამყარებლად აუცილებელი პრინციპები ქვეყნებს შორის კონკრეტულ, მოწესრიგებულ და მშვიდობიან თანარსებობას უნდა ემსახურებოდეს.

მართლაცდა, მსოფლიოს უამრავ წერტილში, როგორც ჩანს, ის ლოგიკა ჭარბობს, რომელიც ართულებს კანონიერი განსხვავებებისა და უთანხმოებების (რომლებიც უოქვლათის შეიძლება წარმოიშვას) მოქცევას ცივილიზებული განსხვავებისა და დიალოგის კალაპოტში, ხალაც ვაიმარჯვებდა ხალი აზრი, ზომიერება და პასუხისმგებლობის გრძობა. ეს განსაკუთრებით საჭიროა დღეს, როცა არცთუ იშვიათია ძალადობრივი ექსპანზიონი, რომლებიც მანიპულირებს სამოქალაქო თუ რელიგიური პრინციპებით და ამახინჯებს მათ, რათა გაბატონებისა და სიკვდილის ბნელ გეგმებს დაუქვემდებაროს ისინი.

აუცილებელია, რომ ყველა ჩვენგანის გულში უპირველესი ადგილი ეკავოს ადამიანის ღვთის, ამ სიტყვის კონკრეტული გაგებით, მოთმინება და ძალისხმევა არ დაეიშუროთ, რათა უთანხმოება ძალადობაში არ გადაიზარდოს, ეგზომ რომ აზარალებს ადამიანსა და საზოგადოებას. ნებისმიერი განსხვავებულობა – ეთნიკური, ენობრივი, პოლიტიკური თუ რელიგიური – უნდა იქცეს არა წარმომოხდელ უთანხმოებათა დაპირისპირებასა და გაუთავებელ ტრაგედიაში გადაზრდის საბაბად, არამედ, რაც საესებით შესაძლებელია, ურთიერთგამდობების წყაროდ და საყოველთაო სიკეთედ. საამისოდ კი, უოველ ადამიანს უნდა შეეძლოს საკუთარი სეციფიკურობის სრულად და სასიკეთოდ გამოყენება, რისთვისაც, უპირველეს ყოვლისა, შესაძლებლობა უნდა მიეცეს მშვიდობიანად იცხოვროს საკუთარ მიწაზე ან დაბრუნდეს იქ, თუ რაიმე მიზეზით მოუწია მისი დატოვება. ვისურვებთ, რომ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე პირებმა განსაკუთრებით გაითავისონ ამ ადამიანების მდგომარეობა, ეძიონ მათი პრობლემების გადაწყვეტის კონკრეტული გზები, თუნდაც გადაუჭრელი პოლიტიკური საკითხების პირობებშიც კი. აქ საჭიროა შორსმჭვრეტელობა და სიმტკიცე, რათა განესაზღვროთ თუ რაში მდგომარეობს ჭეშმარიტი სიკეთე ხალხთათვის, და გაბედულად და გონიერებით მივეყოთ მას. ამავე დროს მუდამ თვალწინ უნდა გვედგას ტანხული ადამიანი, რათა თავდაჯერებით ვიართო მშვიდობის მშენებლობის ძნელადსავად, მაგრამ მიმზიდველ და გამათავისუფლებელ გზაზე.

კათოლიკურ ეკლესიას, რომელიც საუკუნეების მანძილზე არსებობს ამ მიწაზე და განსაკუთრებული ძალისხმევით მოღვაწეობს ადამიანის განმავითარებელ თუ საქველმოქმედო სფეროებში და მოზარდა ქართველი ხალხის სიხარულისა თუ საფიქრალისა, სურს თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის კეთილდღეობასა და მშვიდობაში, აქტიურად ითანამშრომლოს სამოქალაქო ხელისუფლებასა და საზოგადოებასთან. ვიმედოვნებ, რომ იგი კვლავაც შეიტანს თავის ბუნებრივ წვლილს ქართული საზოგადოების ზრდაში, ჩვენს საერთო ქრისტიანული ტრადიციების დამოწმების, უპოვართო სასიკეთოდ გაწეული ძალისხმევის გზით და უძველეს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასა და ქვეყნის სხვა რელიგიურ საკრებულოებთან განახლებული დიალოგისა და განმტკიცებული ურთიერთობების მეშვეობით.

ღმერთმა დალოცოს საქართველო და მომადლოს მას მშვიდობა და კეთილდღეობა

(პაპი ფრანცისკეს მიმართვა ხელისუფლების წარმომადგენლებთან და დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრისას, პრეზიდენტის სასახლის ეზოში, თბილისში, პარასკევი, 2016 წლის 30 სექტემბერი)